## 2 ქულა – სტუმრად

ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 26 მაისი.

“ზარია” (ვოროშილოვგრადი) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“ზარია”: ტკაჩენკო, სოროკალეტი, მალიგინი, ვლ. აბრამოვი (ვიქ. აბრამოვი), რაბოჩი, ჟურავლიოვი, სტულჩინი, ანდრეევი, კუზნეცოვი, კუკსოვი, სემიონოვი.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:2 . ბურთები გაიტანეს ბაზაზაშვილმა და ებრალიძემ.

სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონს – “ზარიას” ერთობ არასახარბიელოდ აქვს საქმე – იგი აუტსაიდერია. ამიტომ გუნდი თავის მინდორზე ყველაფერს ეცადა, რათა თბილისელებთან მატჩში გამოესწორებინა მდგომარეობა და შეექმნა ქულათა გარკვეული მარაგი.

მაგრამ დინამოელებმა პირველივე წუთებიდან სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და რამდენიმე უაღრესად სახიფათო მომენტი შექმნეს მის კართან. გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი ჰქონდათ ჩელებაძეს, შენგელიას, შემდეგ ხინჩაგაშვილის დარტყმას ზედ კარის ხაზზე მიუსწრო ვლ. აბრამოვმა. ტაიმი სტუმრების საგრძნობი უპირატესობით აღინიშნა.

შესვენების შემდეგ, 48–ე წუთზე, თბილისელთა ერთ–ერთი იერიშის დროს, გარღვევაზე გავიდა ხინჩაგაშვილი, მიაწოდა ბურთი შენგელიას, ეს უკანასკნელი გასცდა მცველებს, მეკარესაც და ზუსტად დაარტყა კარში – 1:0.

სტუმრები ერთხანს კვლავ ფლობდნენ ინიციატივას, ჩელებაძეს და შენგელიას კვლავ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობანი, მერე კი, ბოლო 15–20 წუთის მანძილზე, “ზარიამ” შეძლო ტერიტორიული უპირატესობის აღება, მაგრამ თბილისელებმა ბოლომდე წარმატებით მიიყვანეს გამარჯვების საქმე და 2 ქულა ჩაწერეს თავიანთ აქტივში.

**“ლელო”, 28 მაისი, 1977 წ.**